

შეტკობინება მეოთხე

ღმერთის სახლის აშენების აღდგენა ღმერთის წინასწარმეტყველთა  
ღვთაებრივი შთაგონების წყალობით

აღგილები წერილიდან: ეზრა 5:1-2; ანგია 1:2-5, 7-8, 9ბ, 14; 2:6-7, 9ა, 23; ზაქ. 3:9; 4:2-7, 11-14

- I. აღდგენილი ტაძრის, როგორც ღმერთის სახლის, ხელმეორედ აშენების დროს იესოც (სამღვდელოების წარმომადგენელი) და ზორობაბელიც (მეფობის წარმომადგენელი) გარკვეულწილად დასუსტდნენ და დანადგლიანდნენ, ამიტომ ღმერთმა გამოიყენა წინასწარმეტყველები – ანგია და ზაქარია, რომლებიც ლაპარაკობდნენ ღმერთის ნაცვლად, რათა განემტკიცებინათ იესო და ზორობაბელი, დახმარებოდნენ მას და შთაგონებინათ ისინი – ეზრა 5:1-2; შდრ. 1 კორ. 14:3.
- II. ცენტრალური აზრი ანგიას წინასწარმეტყველებისა იყო ის, რომ ღმერთის სახლის, ღმერთის ტაძრის, აშენება, დაკავშირებულია ღმერთის ხალხის კეთილდღეობასთან დღეს და ათასწლოვანი სამეფოს მოსვლასთან მის მესიასთან ერთად აღდგენის საუკუნეში – ანგ. 1:2-5, 7-8, 9ბ, 14; 2:6-9, 20-23; მათე 19:28; საქმე. 3:20-21:
- ა. ძველ აღთქმაში იეჰოვას სახლი, ანუ ტაძარი, იყო, პირველ რიგში, წინასახე ქრისტესი, როგორც ღმერთის სახლისა, ინდივიდუალურ ასპექტში და, მეორე, წინასახე ეკლესიისა, სხეულისა, გადიდებული ქრისტესი, როგორც ღმერთის სახლისა, ერთობლივ ასპექტში – იოანე 2:19-21; 1 ტიმ. 3:15.
  - ბ. ვინაიდან იეჰოვას სახლი არის წინასახე ეკლესიისა, ანგიას წინასწარმეტყველებას აქვს პირდაპირი დამოკიდებულება ჩვენთან, ახალაღთქმისეულ მორწმუნეებთან, რადგან ჩვენ ვართ სინამდვილე ამ წინასახისა.
  - გ. ანგია მიმართავდა ზორობაბელს, მმართველს, და იესოს, მღვდელმთავარს, იმ მიზნით, რომ განემტკიცებინა და შთაგონებინა ისინი და ხალხი ტაძრის, როგორც ღმერთის სახლის, ხელახლა აშენებისათვის – ეზრა 5:1; ანგია 1:1.
  - დ. დაბრუნებული ტყვეები ზრუნავდნენ მხოლოდ თავიანთ ინტერესებზე და არ აქცევდნენ ყურადღებას ღმერთს: ისინი ზრუნავდნენ თავიანთ სახლებზე, მაგრამ არ ზრუნავდნენ იეჰოვას სახლზე (მუხ. 4); სიტყვა „გარბიხართ“ მე-9 მუხლში გულისხმობს, რომ ადამიანები შთანთქმულნი იყვნენ თავიანთ სახლებზე საზრუნავებით.
  - ე. ანგიას 1:6-ში ნათქვამი გულისხმობს, რომ, თუ ჩვენ უგულვებელყოფთ ეკლესიას, ჩვენ არ გვექნება ნამდვილი ტკობა და დაკმაყოფილება; იმ საკითხში, რაც შეეხება ღმერთის სახლის აშენების აღდგენას, ჩვენ ვერ ვიქნებით ნეიტრალურები; ჩვენ უნდა დავიკავოთ ცალსახა პოზიცია და ვიზრუნოთ პირველ რიგში ან ჩვენს სახლებზე, ან უფლის სახლზე – მათე 6:33; ლუკა 9:57-62; ფილიპ. 2:20-21.
  - ვ. ღმერთის სახლის აშენების აღდგენისათვის ღმერთის რჩეულები იყვნენ გამოფხიზლებულნი თავიანთ სულში და მოვიდნენ და წარმოქმნეს სამუშაო იეჰოვას სახლში; ჩვენს გამოხმაურებაში უფლის ბრძანებაზე ჩვენ ყველამ ნება უნდა მივცეთ უფალ იესოს, რომ ჩავგვრთოს ხარების, ახალი მორწმუნეების გამოკვებისა და მათზე ზრუნვის სამუშაოში უფლის სახლის, ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის, ასაშენებლად – ანგია 1:14; 2:7ა; იოანე 21:15-17.
  - ზ. „შეგძრავ ყველა ერს, და მოვა სასურველი ყველა ხალხისა“ – ანგია 2:7ა:
    - 1. ეს არის მინიშნება ქრისტეზე, რომელიც არის სასურველი ყველა ხალხისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ხალხები არ იცნობენ ქრისტეს, მათ მაინც სურთ ის; ის, რომ ხალხებს სურთ ისეთი რამ, როგორიც არის

- სინათლე, სიყვარული, სიხარული და სამართლიანობა, რომლის სინამდვილაც არის ქრისტე, ნიშნავს, რომ ქვეცნობიერად მათ სურთ ქრისტე – მალ. 3:1ბ.
2. ქრისტეს, როგორც ყველა ერისთვის სასურველის, მოსვლა დამოკიდებულია ღმერთის ხალხის დაბრუნებაზე მათი ტყვეობიდან ბაბილონში და ღმერთის სახლის აშენების აღდგენაზე – 1 ტიმ. 3:15; 1 პეტ. 2:5.
- თ. „მე ავაგებ ამ სახლს დიდებით... უკანასკნელი დიდება ამ სახლისა იქნება უფრო მეტი, ვიდრე თავდაპირველი“ – ანგია 2:7ბ, 9ა:
1. ღმერთის დიდება, ღმერთის გამოხატულება, არის ღმერთის ნაგებობაში, იეჰოვას სახლში – გამ. 40:34-35; 3 მეფ. 8:10-11; 2 ნეშტ. 3:1; 5:1-2, 13-14; ეფეს. 3:21; გამოცხ. 21:10-11.
  2. ღმერთის მიერ მიცემულ ხილვაში ეზეკიელმა დაინახა, რომ იეჰოვას დიდება დაბრუნდა იეჰოვას სახლში და ააგესო სახლი (ეზეკ. 43:1-5); იეჰოვას დიდება დაბრუნდა სახლში, რადგან სახლის აშენება დასრულდა (მუხ. 2, 5); აქედან ჩანს, რომ იმისათვის, რომ დიდების ღმერთი მკვიდრობდეს ეკლესიაში, ის უნდა იყოს აშენებული და გახდეს ღმერთის საცხოვრებელი (ეფეს. 2:21-22; 3:14-21).
  3. ეზეკიელმა დაინახა, რომ სიცოცხლის წყლის მდინარე, ღმერთის სახლიდან გამოსული, მიედინებოდა აღმოსავლეთისაკენ, ღმერთის დიდების მიმართულებით (ეზეკ. 47:1; 43:2); თუ ჩვენ არ ვიზრუნებთ ღმერთის დიდებაზე, დინება ჩვენში იქნება შეზღუდული.
  4. ეკლესიურ ცხოვრებაში ჩვენ პირველ რიგში უნდა გავითავალისწინოთ უფლის დიდება; გადაწყვეტილებები ეკლესიურ ცხოვრებაში უნდა იყოს მიღებული ძირითადად უფლის დიდების თანახმად – ეფეს. 3:21; 4:20; 1 პეტ. 4:10-11; იუდა 24-25.
  5. ღმერთის განდიდება არის მიზანი ჩვენი მსახურებისა; უმაღლესი მსახურება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავუწიოთ ღმერთს, არის ის, რომ განვადიდოთ ღმერთი, ვიცხოვროთ ღმერთკაცის ცხოვრებით (ესაია 43:7; იოანე 7:16-18; 17:1-4; რომ. 9:21, 23; ფილიპ. 1:19-21ა; 1 კორ. 6:19-20; 10:31); ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ჩვენ გავხდეთ ერთობლივი, აშენებული გამოხატულება ღმერთისა და შევიდეთ ერთობაში ღვთაებრივ დიდებაში (იოანე 17:22-24).
- ო. ის, რომ იეჰოვა გახდის ზორობაბელს ბეჭტის მსგავსს (ანგია 2:23), მიუთითებს იმაზე, რომ იეჰოვა თვლიდა მას თავის წარმომადგენლად და რომ მას უყვარდა ის და ენდობოდა მას; ამ საკითხში ზორობაბელი არის წინასახე ქრისტესი, ხოლო ქრისტე არის ის, ვინც ღმერთს უყვარს და ვისაც ის ენდობა (მათე 3:17; 17:5; იოანე 3:35; 17:2); როგორც ასეთ პიროვნებას, ქრისტეს, აქვს უფლება, რომ იზრუნოს ღმერთის სახლის, ეკლესიის, აშენებაზე (მათე 16:18).
- III. ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნი გვიჩვენებს, რომ სასანთლის შვიდი ლამპარი (4:2; გამოცხ. 4:5) არის ღმერთის შვიდი სული, შვიდმაგად გაძლიერებული სული (1:4), როგორც იეჰოვას შვიდი თვალი (ზაქ. 4:10), გამომსყიდველი კრავის შვიდი თვალი (გამოცხ. 5:6) და სამშენებლო ქვის შვიდი თვალი (ზაქ. 3:9), სამერთიანი ღმერთის სრული გამოხატულებისათვის და ღმერთის სახლის ხელახლა აშენებისათვის:**
- ა. ქვა, დადებული იესოს წინ ზაქ. 3:9-ში, არის წინასახე ქრისტესი, როგორც ქვისა, ღმერთის ნაგებობისათვის (ფსალ. 118:22; მათე 21:42); ის, რასაც იეჰოვა ამოკვეთს ქვაზე, მიუთითებს იმაზე, რომ, როდესაც იესო კვდებოდა ჯვარზე, ღმერთმა „ამოკვეთა“, „ამოჭრა“ მასზე; ის, რომ იეჰოვა მოაშორებს დედამიწის უკანონობას ერთ დღეს, მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტე, რომელზეც იმუშავა ღმერთმა,

მოაშორებს ისრაელის მიწის ცოდვას ერთ დღეში – თავისი ჯვარცმის დღეს; ჯვარზე თავისი სიკვდილის მეშვეობით ქრისტემ, ღმერთის კრავმა, წაიღო ქვეყნიერების ცოდვა (1 პეტ. 2:24; იოანე 1:29):

1. ქვა, იეჰოვა და კრავი არის ერთი; ქრისტე არის გამომსყიდველიკრავი და სამშენებლო ქვა, და ასევე ის არის იეჰოვა; ქრისტე არის კრავი-ქვა: კრავი არის გამოსყიდვისათვის და ქვა არის ნაგებობისათვის – გამოცხ. 5:6; ზაქ. 3:9.
  2. ღმერთის ნაგებობაში ქრისტე არის საძირკვლის ქვა, რომელსაც უკავია ნაგებობა, ქვაკუთხედი, რომელიც აერთებს თავისი სხეულის ასობებს წარმართებიდან და ებრაელებიდან, და თავიკიდური ქვა მადლისა, რომელიც ასრულებს ყველაფერს ღმერთის ნაგებობაში – ესაია 28:16; 1 კორ. 3:11; ეფეს. 2:20; 1 პეტ. 2:6; ზაქ. 4:7.
  3. ის, რომ ქრისტე, ღმერთის კრავი, – არის სამშენებლო ქვა შვიდი თვალით, გვიჩვენებს, რომ შვიდი თვალი ქრისტესი განკუთვნილია ღმერთის ნაგებობისათვის – იოანე 1:29; ზაქ. 3:9; გამოცხ. 5:6.
  4. ქრისტე არის სამშენებლო ქვა შვიდი თვალით, შვიდი სულით, თავისი თავის ჩასადგურელად ჩვენში, იმ მიზნით, რომ გარდაგვსახოს ჩვენ ძვირფას მასალებად ღმერთის ნაგებობისათვის; როდესაც უფალი გვიყურებს ჩვენ, მისი შვიდი თვალი ღვრის მას ჩვენში – ზაქ. 3:9; 1 კორ. 3:12ა; გამოცხ. 3:1; 5:6.
- ბ. ღმერთის ნაგებობის დასრულებისათვის შვიდმაგად გაძლიერებული სული არის ქრისტეს, როგორც გამომსყიდველი კრავისა და სამშენებლო ქვის თვალები, რომლებიც გვიყურებენ ჩვენ და გვიკვლევენ ჩვენ, და ასევე ღვრიან და გადმოღვრიან ჩვენში ქრისტეს არსს, სიმდიდრესა და საზრუნავს ღმერთის ნაგებობისათვის – ზაქ. 3:9; 4:7; გამოცხ. 1:14; 5:6:
1. კრავის შვიდი თვალი ღვრის ჩვენში ქრისტეს, როგორც იურიდიულ გამომსყიდველს, ხოლო ქვის შვიდი თვალი ღვრის ჩვენში ქრისტეს, როგორც ორგანულ მხსნელს, ღმერთის სახლმშენებლობის მოძრაობისათვის დედამიწაზე მისი იურიდიული გამოსყიდვის მეშვეობით და მისი ორგანული გადარჩენის წყალობით, მისი ნაგებობისათვის – იოანე 1:29; საქმე. 4:11-12; რომ. 5:10.
  2. ჩვენ შიგნით არის ორი ლამპარი: შვიდმაგად გაძლიერებული ღმერთის სული ჩვენს სულში (იგავ. 20:27; გამოცხ. 4:5; 1 კორ. 6:17); იმისათვის, რომ გარდავისახოთ, ჩვენ მთლიანად უნდა გავეხსნათ უფალს ღოცვაში და ნება უნდა მივცეთ უფლის ლამპარს შვიდი ცეცხლოვან ლამპრით, რომ გამოიკვლიოს ჩვენი სამშენებლის ყველა „ოთახი“, ანათოს ჩვენს შინაგან ნაწილებზე და გააბრწყინოს ისინი, რათა შეწვენა მოუტანოს მათ სიცოცხლით.
  3. ყველაზე მეტად გარდასახვას განიცდის ის, ვინც მთლიანად გახსნილია უფლისათვის; შვიდმაგად გაძლიერებული სულის მოქმედების წყალობით ქრისტეს მძებნელ მორწმუნეებში ისინი ძლიერდებიან, ხდებიან გამარჯვებულები, რათა ააშენონ ქრისტეს სხეული, რომელიც დაასრულებს ახალ იერუსალიმს.
- გ. თავის აღდგომაში ქრისტე, როგორც უკანასკნელი ადამი, გახდა მაცოცხლებელი სული (15:45ბ; იოანე 6:63ა; 2 კორ. 3:6ბ), რომელიც ასევე არის შვიდმაგად გაძლიერებული სული; ეს სული არის სიცოცხლის სული (რომ. 8:2); აქედან გამომდინარე, შვიდი სულის დანიშნულებაა, რომ ჩანერგოს ღვთაებრივი

სიცოცხლე ღმერთის ადამიანებში, ღმერთის მარადიული საცხოვრებლის, ახალი იერუსალიმის, ასაშენებლად.

- დ. შვიდმაგად გაძლიერებული სული არის შვიდი ცეცხლოვანი ლამპარი, რომლებიც ანათებენ, აბრწყინებენ, ამხელენ, იკვლევენ, ასამართლებენ, გვწმენდენ და გვადნობენ ჩვენ, რათა წარმოქმნან ოქროს სასანთლები ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობისათვის – გამოცხ. 4:5; 1:2, 4, 9-12, 20.
- ე. ორი ზეთისხილის ხე სასანთლის ორი მხრიდან აღნიშნავს იესოს, მღვდელმთავარს, და ზორობაბელს, იმ დროის მმართველს, რომლებიც იყვნენ ზეთის ორი ძე, იეჰოვას სულით ავსებულნი, ღმერთის ტაძრის ხელახლა ასაშენებლად – ზაქ. 4:1-6, 11-14:

1. ზეთის ორი ძე ასევე არის წინასახე ორი მოწმისა, მოსესი და ილიასი, ამ საუკუნის ბოლო სამწელიწად-ნახევრის განმავლობაში, რომლებიც იქნებიან ღმერთის მოწმეები დიდი მწუხარების დროს ღმერთის ხალხების – ისრაელიანებისა და ქრისტეში მორწმუნეების – განსამტკიცებლად – გამოცხ. 11:3-12; 12:17.
2. პრინციპში, ქრისტეში ყველა მორწმუნე უნდა იყოს ძე ახალი ზეთისა, ისინი, ვინც სავსე არიან ახალი, თანდამსწრები და დასრულებული სულით, როგორც მხიარულების ზეთით, რათა ჩაღვარონ სული ლამპარში მისი მანათობელი მოწმობისათვის, იესოს მოწმობისათვის – 1:12, 20; ფსალ. 45:7; 46:4; 92:10; იოანე 7:38:

- ა) ეკლესია, როგორც სასანთლე, არის ხელშესახები განკაცება სამეერთიანი ღმერთისა შვიდმაგად გაძლიერებული სულით, როგორც ღმერთის ზეთით, მის ღვთაებრივ ბუნებაში.
- ბ) თვითონ ზეთი არის ოქრო (ზაქ. 4:12); ეს ნიშნავს, რომ ოქრო მოედინება ზეთის სახით; როდესაც ლამპარში ამატებენ მეტ ზეთს, ეს ნიშნავს, რომ მასში ამატებენ მეტ ოქროს.
- გ) დღითი დღე ჩვენ უნდა გადავიხადოთ საფასური, რათა მოვიპოვოთ მეტი ოქრო, მეტი ღმერთი მის ღვთაებრივ ბუნებაში, რათა შევძლოთ, რომ გავხდეთ სასანთლე სუფთა ოქროსაგან, ოქროს ახალი იერუსალიმის ასაშენებლად – 2 პეტ. 1:4; გამოცხ. 3:18; 1:20; 21:18; მათე 25:8-9.
- დ) როდესაც ჩვენ ვიყენებთ ამას ჩვენს დღევანდელ განცდებთან მიმართებით, ვხედავთ, რომ სული, რომელიც მოედინება ჩვენგან, – არის ღმერთი, ხოლო ღმერთი არის ოქრო; აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ მიგვაქვს ქრისტე სხვებისათვის და ვამარაგებთ მათ ზეთით, ჩვენ სინამდვილეში ვამარაგებთ მათ ღმერთით; ღმერთი გამოედინება ჩვენგან და ჩაედინება მათში – ზაქ. 4:12-14; იოანე 7:37-39; 2 კორ. 3:3, 6, 8.
- ე) ჩვენ, ყველანი, უნდა ვიყოთ ზეთისხილები, რომლებიც თავიანთი არსებიდან ღვრიან ღმერთს სხვებში; ამგვარად ისინი, ვინც არიან ზეთისხილები, რომლებისგანაც მოედინება ღმერთი, ამარაგებენ საჭიროების მქონეებს ზეთით – რომ. 11:7; ლუკა 10:34; შდრ. იოანე 7:37-39.